შპს „ნიუ კრისტალბეთი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წელი

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას მასზე დართული განმარტებებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 7-14 გვერდებზე.

შპს „ნიუ კრისტალბეთი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022 წლის მდგომარეობით

| **ბალანსი** | **31.12.2022** | **01.01.2022** |
|---|---|---|
| აქტივები | 3 187 121 | 1 161 398 |
| ნაღდი ფული | 3 056 381 | 1 066 234 |
| ფული საბანკო ანგარიშზე | | |
| მოკლევადიანი მოთხოვნები | 41 147 | 274 |
| ნედლეული | | |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 10,664 | 9,559 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 0 | 0 |
| დარიცხული მოთხოვნები | 336,237 | 158,683 |
| **mTliani mimdinare aqtivebi** | **0** | **0** |
| ძირითადი საშუალებები | 78 929 | 85,297 |
| miwa | | |
| Senoba-nagebobebi | | |
| mcirefasiani, swrafcveTadi innebtari | | |
| licenziebi | | |
| **mTliani fiqsirebuli aqtivebi** | | |
| **mTliani aqtivebi** | 3,517,863 | 1,320,047 |
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | 267 176 | 170,676 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | |
| დარიცხული ვალდებულებები | | |
| moklevadiani sesxebi | | |
| sxva | | |
| **mTliani mimdinare valdebulebebi** | | 76,336 |
| grZelvadiani sabanko sesxebi | | |
| sxva grZelvadini valdebulebebi | | |
| **mTliani valdebulebebi** | | |
| sakuTari kapitali | 3,250,687 | 1,073,035 |
| gaunawilebeli mogeba | 3,250,687 | 1 073 035 |
| **mTlaini sakuTari kapitali** | | |
| **mTliani valdebulebebi da kapitali** | 3,517,863 | 1,320,047 |

თამარ გახელაძე

დირექტორი

გიორგი მამულაიშვილი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას მასზე დართული განმარტებებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 7-14 გვერდებზე.

მოგება ზარალის ანგარიშგება 31.12.2022 წლის მდგომარეობით

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **საწყისი ამონაგები** | **57 837 428** | **3,636,375** |
| საქონლის გაყიდვიდან | 219 577 | 97,201 |
| მომსახურების გაწევიდან | 57 617 850 | 3,539,174 |
| სხვა | | |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | (51 627 874) | |
| საწყისი მარაგები | (9 559) | |
| მარაგების შესყიდვა | (195 004) | |
| საბოლოო მარაგები | 10 664 | |
| **საერთო ამოგები** | **6 209 554** | |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | (293 217) | (162,697) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (23 506) | (31,049) |
| საპროცენტო ხარჯი : | | |
| იჯარის ხარჯი | (334 984) | (936,474) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (3 380 093) | (1,813,693) |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **(4 008 294)** | **(2,943,913)** |
| **საოპერაციო მოგება** | **2 201 260** | **692,462** |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის გადახდამდე** | **2 201 260** | **692,462** |
| მოგების გადასახადი | - | |
| **მოგება/(ზარალი)** | **2 201 260** | **692,462** |

თამარ გახელაძე

დირექტორი

გიორგი მამულაიშვილი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას მასზე დართული განმარტებებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 7-14 გვერდებზე.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31.12.2022 წლის მდგომარეობით

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)** | **1,073,035** | **-490,265** |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) | | |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | | |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 23,405 | 870,838 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | |
| **კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** | **3,250,687** | **1,073,035** |

თამარ გახელაძე

დირექტორი

გიორგი მამულაიშვილი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას მასზე დართული განმარტებებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 7-14 გვერდებზე.

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

**(ა) ბიზნეს გარემო**

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე და შესაბამისად მასზე მოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრის რყევები. ქვეყანა იმყოფება განვითარების სტადიაში და მასთან ერთად ვითარდება კანონმდებლობა, რაც საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს მმართველობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მმართველობის შეფასებებისაგან.

**(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები**

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ნიუ კრისტალბეთი 2016 წლის 9 დეკემბერს დარეგისტრირდა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში მეწარმე სუბიექტად "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად.
კომპანიის იურიდიული საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი,ზღვის უბნის დასახლება, 10ზ კვ კორპ 4 ბ 16 კომპანიის საიდენთიფიკაციო ნომერია: 400191323
კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის „აზარტული თამაშების საქმიანობები“; კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

| დამფიძნებლები | 2022 წელი 31.დეკ | 2022 წელი 01.იან |
|---|---|---|
| ლევან ახვლედიანი | 100% | 100% |

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

## 3. ანგარიშგების წარდგენის ვალუტა

კომპანია ანგარიშსწორებას ახდენს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). გამომდინარე აქედან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა ინფორმაცია წარდგენილია ლარში.

## 4. შემოსავალი

| დასახელება | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| საქონლის გაყიდვიდან | 219 577 | 97,201 |
| აზარტული თამაშებიდან | 5,989,976 | 3,539,174 |
| სხვა | | |
| სულ შემოსავალი | **6,209,553** | 3,636,375 |

## 5. საოპერაციო ხარჯები

| ხარჯის მუხლი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| დასაქმებულთა ანაზღაურება | | -162,697 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | -23,506 | -31,049 |
| საპროცენტო ხარჯი : | | |
| იჯარის ხარჯი | -2,500 | -936,474 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -4,029,300 | -1,813,693 |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **-4,055,306** | **-2,943,913** |

## 6.ფულადი სახსრების მოძრაობის მუხლი

| ფულადი სახსრების მოძრაობა | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 1990147 | 1066234 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | | |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | | |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | 1990147 | 1066234 |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 1066234 | 0 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 3056381 | 0 |

## 7. არამატერიალური აქტივები

2022 წელს კომპანიას არ გააჩნდა არამატერიალური აქტივები

## 8. გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. ასევე აღნიშნული საქმიანობის ნაწილში კომპანია განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან რადგანაც კომპანია თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილში იხდის ფიქსირებულ სანებართვო მოსაკრებელს და ფიქსირებულ ყოველკვარტალურ მოსაკრებელს. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.
2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე.

## 9. კაპიტალი

### (ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა, ნულოვანი ოდენობით.

(ბ) დივიდენდები

კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და ზოგად კრებაზე სარგებლობენ პროპორციული ხმის მიცემის უფლებით კომპანიის აქციებში წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა მმართველობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

10. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების.
სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების მიზეზით, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:
– საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა (ii));
– ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა (iii));
– საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა (iv)).

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე. მათ მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების დამფუძნებლისთვის წარდგენა. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და

კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი როლი და ვალდებულებები. დამფუძნებლები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავენ რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

### (ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან: კომპანიის მოთხოვნები, შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ საანგარიშგებო თარიღისთვის არის შემდეგი:

#### მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

მოთხოვნების არსებითი ნაწილის გადახდა განხორციელდა საანგარიშგებო თარიღის შემდგომ. შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

#### ბანკში არსებული ანგარიშები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლებსაც შეესაბამება საერთაშორისო სააგენტოს Fitch-ის მოკლევადიანი სადეფოლტო რეიტინგი BB-. კომპანიის მოლოდინის თანახმად, მცირეა რისკი რომ გარკვეული კონტრაგენტის მიერ ვერ მოხერხდება კომპანიის მიმართ ვალდებულებების შესრულება.

### (iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია უზრუნველყოფს საკმარის და ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად მომდევნო სამი თვის განმავლობაში. თუმცა არ ითვალისწინებს იმ

ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის კომპანია იყენებს ხანდაზმულობის ანალიზს. არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება უნდა დაიფაროს საადრიცხვო თარიღის შემდგომ ექვსი თვის განმავლობაში.

### (iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე შემოსავლების ოპტიმიზაციის ფონზე.

### სავალუტო რისკი

2022 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ გააჩნია არსებითი დამოკიდებულება სავალუტო რისკის მიმართ.

## 11. დაკავშირებული მხარეები

### (ა) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარესთან მოთხოვნამ შეადგინა 0 ლარი, რომლის პერიოდული დაფარვაც ხდებოდა უნაღდო ანგარიშსწორებით. წინა და მიმდინარე პერიოდებში არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მოთხოვნების მიმართ გაუფასურების რეზერვების გამოყენება.

## 12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

### (ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის „აზარტული თამაშების საქმიანობები“. კომპანიას გააჩნია სლოტ კლუბი.
შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შესახებ. შესრულების ვალდებულებების დასრულების შემდეგ, კომპანია საოპერაციო ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემა.

აზარტული თამაშების საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დადებულ ფსონსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობით (Gross Gaming Revenue GGR).
სხვა შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით იმ წესების დაცვით რასაც მიგვითითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი

(ზ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარება ხდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის ექსპლუატაციის მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარება ხდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარება ხდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. თუ უკანასკნელი აკმაყოფილებს მიმდინარე სარემონტო სამუშაოების კრიტერიუმს და არ წარმოადგენს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო

მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილ ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით, არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით

### (ვ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე და საქართველოს კანონმდებლობით აზარტული თამაშის საქმიანობის ნებართვის მოსაკრებელი განისაზღვრება სხვადასხვა თანხის ოდენობით, ტერიტორიული ერთეულიდან გამომდინარე. ნებართვის მოსაკრებლის ხარჯად აღიარება ხდება ყოველი თვის ბოლოს. „წინასწარ გაწეული ხარჯი“, რის გამოც არსებობს გარკვეული მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ყოველი წლის ბოლოს რადგანაც სანებართვო მოსაკრებლის გადახდა 1 000 000 ლარის ოდენობით და სათამაშო აპარატების სალონის კვარტალური მოსაკრებლის 328 000 ლარის ოდენობით ხდება ყოველი წლის ბოლოს მომდევნო წლის საქმიანობის გასაგრძელებლად. ასევე წლის განმავლობაში ყოველი კვარტალური მოსაკრებლების გადახდა ხდება წინასწარ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებდა 1 ფილიალი.

### (ზ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშება ხდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## 13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშნელოვან მოვლენებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას მასზე დართული განმარტებებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 7-14 გვერდებზე.